დავით გოგილაშვილის ისტორია

დავით გოგილაშვილი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (BTU) მესამე კურსის სტუდენტია. მას ბრალად ედება პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა და მისი შეურაცხყოფა. ის 2024 წლის 30 ნოემბერს, 00:51 საათზე, ლესია უკრაინკას ქუჩაზე დააკავეს. დავითი მშვიდობიან საპროტესტო აქციას 2024 წლის 29 ნოემბერს შეუერთდა, რათა მმართველი პარტიის ანტიევროპული კურსი გაეპროტესტებინა. მან მეგობრებთან და მეგობრის ოჯახის წევრებთან ერთად რამდენიმე საათი დაყო პირველი სკოლის წინ. მას შემდეგ, რაც სპეციალური დანიშნულების რაზმმა დაიწყო მშვიდობიანი მომიტინგეების დაშლა, როგორც სპეციალური საშუალებების გამოყენებით, ისე აქციის მონაწილეების დევნით, დავითმა და მისმა თანმხლებმა პირებმა სცადეს ტერიტორიის დატოვება, ლესია უკრანკის ქუჩის მიმართულებით. თავდაპირველად, სპეციალური დანიშნულების რაზმის წარმომადგენლებმა მათ გადაადგილების უფლება მისცეს, თუმცა მალევე დავითის თანმხლები პირების მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება და დევნა დაიწყეს. დავითმა სცადა ტერიტორიის დატოვება ლესია უკრაინკას ქუჩაზე ასვლით, თუმცა ქუჩა საპოლიციო ძალებს ეკავათ. მალევე, სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრმა ის ძირს დააგდო და იძულებით პირველი სკოლის მიმართულებით გადაიყვანეს. გარკვეული დროის განმავლობაში ნაცემი დავით გოგილაშვილი ტელეკომპანია პირველის ლაივ გადაცემის კამერებში ჩანდა. ლესია უკრაინკას ქუჩაზე, კამერებში დავითის მიმართ ფიზიკური ძალადობის ერთი ეპიზოდი ჩანს. როგორც კი ის კამერების ხედვის არეს მოაშორეს, სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრებმა დავითზე დაიწყეს მძიმე ფიზიკური ძალადობა, მათ შორის მუშტებით ცემა სახის არეში, გინება და დაშინება. ასევე, დავითი იქვე გაჩხრიკეს, ამოაცალეს მობილური ტელეფონი და ისევ გააგრძელეს მის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება.

გოგილაშვილი გარკვეული დროის განმავლობაში პარლამენტის წინ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებასთან დააყოვნეს, თუმცა, ამ დროსაც, საპოლიციო ძალების წარმომადგენლებს ცემა არ შეუწყვეტიათ. დაკავებულის მონაყოლის თანახმად, ის დროდადრო ითიშებოდა და კარგავდა გონებას. ახსოვს, რომ შემხვედრმა სპეცრაზმელმა სახეში წიხლი ჩაარტყა და გაითიშა. ზუსტად ვერ იხსენებს, მალევე გამოფხიზლდა თუ ისევ დარტყმამ გამოაფხიზლა. მისი მონათხრობით, სახე და ხელები სულ სისხლიანი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ისევ ურტყამდნენ წიხლებს, უმეტესად კი, სახის არეში. ამასთან, ერთმა სპეცრაზმელმა დამატებით ჰკითხა: "რა იყო, არ გტკივა?" და კიდევ ჩაარტყა. რამდენიმე წუთით, როდესაც მისი ცემა შეწყდა, დავითმა დაინახა ნაცემი და დასისხლიანებული მეგობარი, რომელთან ერთადაც აქციაზე იმყოფებოდა.

დაზარალებულის მონათხრობის თანახმად, მას ეუბნებოდნენ, "აქ ჩამოსულს კიდევ გნახავთ და მოკვდები, აღარ მოხვიდე, ხომ ხედავ რა მოგივიდა და ვეღარ გადაურჩები შემდეგზე". სიცოცხლის მოსპობის მუქარა მისი მხრიდან აღიქმებოდა სერიოზულად და რეალურად. აღარ იცოდა მართლა გადარჩებოდა თუ არა. დაკავების დროს, შემთხვევით შეხვედრილ მეგობარს ვერაფერი უთხრა შიშისგან, რადგან ფიქრობდა რომ შეიძლებოდა ამის გამო კიდევ ეცემათ. დაკავებულის განმარტებით შეზღუდულად აზროვნებდა და ფიქრობდა, არ იცოდა რა ხდებოდა.

ამის შემდეგ დავითი წაიყვანეს 9 აპრილის ქუჩის ასახვევისკენ, გაატარეს რობოკოპების კორდონში, სადაც მასზე ფიზიკური ძალადობა გაგრძელდა, მოცემული კორდონის ბოლო ნაწილში გადასცეს პოლიციელებს, თუმცა მისი ცემა არ შეწყვეტილა. შემდგომ, დაკავებული პოლიციის მანქანაში ჩასვეს და დიღმის სამმართველოში გადაიყვანეს.

განყოფილებაში მიყვანის შემდეგ, დავითი აღარ უცემიათ. მერვე სართულზე აყვანის დროს, მან ლიფტის სარკეში დაინახა სისხლიანი სახე და პანიკური შეტევა დაეწყო. ამას კი დამატებით დამამცირებელი შეძახილები მოჰყვა - ''კაცი არა ხარ? რას პანიკობ?". დაზარალებული შეიყვანეს საპირფარეშოში, იძულებით დაბანინეს სახე და ცხვირში, საიდანაც სისხლი მოსდიოდა, ტუალეტის, შემდგომ კი ჩვეულებრივი თაბახის ქაღალდი შეატენინეს. დიღმის სამმართველოში, დაზარალებული დაახლოებით 3 საათით დააყოვნეს. ამ დროის განმავლობაში გოგილაშვილი სამედიცინო დახმარებასა და ზარის განხორციელებას ითხოვდა, თუმცა, უშედეგოდ. პოლიციელებმა ღამის 03:00 საათისთვის დაურეკეს დაკავებულის მშობლებს და უთხრეს რომ ნაცემი არ იყო.

დიღმის სამმართველოდან, დავითი მცხეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს, სადაც დილის 9 საათამდე მანქანაში იმყოფებოდა. პოლიციელები გზაში სხვადასხვა პლატფორმაზე (მათ შორის ტიკტოკი) აქციის მონაწილეების ვიდეოებს უყურებდნენ და მომიტინგეებს აგინებდნენ. ავტომობილში პოლიციელმა გიორგი ჩარექაშვილმა, რომელიც იჯდა ნაცემი დავითის წინ, სავარძელი ბოლომდე გადმოწია და მუხლებზე მიაბჯინა დაკავებულს. პოლიციელი ამ მდგომარეობაში იყო გარკვეული დრო და ისვენებდა. დილის 09:00 საათისთვის დაიწყეს დაკავებულის დოკუმენტაციის გაფორმება დროებითი მოთავსების იზოლატორში შესასახლებლად, სადაც მისი მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამოძახებული იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა, რომელმაც დავითი საავადმყოფოში გადაიყვანა.

სასწრაფო სამედიცინო მომსახურების ბრიგადის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაკავებულს აღენიშნებოდა ინტრაკრანიალური ტრავმა და ფიზიკური დაზიანებები, რომელიც მიიღო აქციაზე სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრებისაგან, ასევე თავის ტკივილი, გულისრევის შეგრძნება და ჰქონდა გონების კარგვის ეპიზოდები, ასევე აღენიშნებოდა მუხლის ტკივილი. ხოლო მცხეთის სამედიცინო ცენტრში მისი დაავადების მიმდინარეობა შეფასდა - მწვავედ, ხოლო სიმძიმე - საშუალოდ.

სამედიცინო დაწესებულებაში ჩატარებული კვლევების შესაბამისად, დადასტურდა ცხვირის მოტეხილობა და ჩაუტარდა შესაბამისი სამედიცინო პროცედურები, მდგომარეობა კი შეფასდა მწვავედ.

სასამართლოში, დავითს ბრალად ედებოდა სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებები. აღნიშნული საქმე ჯერ კიდევ მიმდინარეა, ხოლო საქმე უნდა განიხილოს მოსამართლე ნინო ენუქიძემ.

საქმეზე ჩვენება მისცა ორმა პოლიციელმა, თუმცა არცერთი მათგანი არ იყო დავითის რეალური დამკავებელი. პოლიციელები განზრახ ცრუ ჩვენების მიცემით ცდილობდნენ გაემართლებინათ მათ მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსი, რომელიც სიმართლეს არ შეესაბამება. საქმეზე პოლიციის მხრიდან წარმოდგენილი არ ყოფილა არცერთი ობიექტური მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სამართალდარღვევის ჩადენას.

დაცვის მხარის მიერ საქმის განხილვისთვის წარდგენილ იქნა როგორც სხვადასხვა ტელევიზიების ეთერით გასული ვიდეო ჩანაწერები, ასევე წერილობითი მტკიცებულებები. დაცვის მხარის შუამდგომლობით, დაიკითხა ფაქტის შემსწრე მოწმე, რომელმაც დაადასტურა დავით გოგილაშვილის მიერ მიცემული ახსნა-განმარტება და უარყო პოლიციელთა ჩვენებები. საქმის განხილვა გადაიდო თავდაპირველად 2025 წლის 09 იანვრისთვის, ხოლო შემდგომ უქმე დღეების გამოცხადების გამო, 2025 წლის 16 იანვრისთვის. დღეის მონაცემებით, 16 იანვარს დასრულდა საქმის განხილვა და სასამართლოს განაჩენი 30 იანვარს იქნება ცნობილი.

არსებული ინფორმაციით, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება დაიწყო სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე. პოლიციელის ქმედება უფლებამოსილების გადამეტებასთან ერთად შესაძლოა შეფასდეს როგორც წამება და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა. დავით გოგილაშვილი გამოიკითხა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დავით გოგილაშვილს 2024 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით დაზარალებულის სტატუსი მიანიჭა.